ელისაბედ პაპაშვილი

ელექტრონული სისტემების ინტეგრაცია განათლების ადმინისტრირებასა და სწავლებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე დვალი

წარმოდგენილია განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივნისი 2019

საავტორო უფლება 2019 ელისაბედ პაპაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ელისაბედ პაპაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „ელექტრონული სისტემების ინტეგრაცია განათლების ადმინისტრირებასა და სწავლებაში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი:_____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019

ავტორი: ელისაბედ პაპაშვილი

დასახელება: ელექტრონული სისტემების ინტეგრაცია განათლების ადმინისტრირებასა და სწავლებაში

ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: __/__/__

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია

აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში წინ მოდის სწორედ ტექნოლოგიური საკითხები. ადამიანის საქმიანობის გასამარტივებლად, ხდება მათი ინტეგრაცია სხვადასხვა ცხოვრებისეიულ სფეროებში, მათ შორის განათლებაშიც. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიების, კონკრეტულად კი სასწავლო/ადმინისტრაციული სისტემების განათლების სფეროში ინტეგრაცია საკმაოდ აქტუალური თემაა, იგი მიმართულია სტუდენტური საქმიანობის გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული პროცესების გასამარტივებლად.

სტუდენტური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სწორედ სასწავლო პროცესების დაგეგმვა, ისეთი ქმედებების განხორციელება, როგორიცაა ადმინისტაციასთან ურთიერთობა, სხვადასხვა სასწავლო მასალების მოძიება, როგორც ელექტრონულად, ასევე ბიბლიოთეკაში. საკუთარი მიღწევებითა და შედეგებით დაინტერესება, რომელიც გამოიხატება მაგალითად გავლილი საგნების ქულების ნახვით, ლექტორთა რეკომენტაციის მიღებით და ა.შ. საყურადღებოა სპორტული და გასართობი ცხოვრების ადმინისტრირება, დაგეგმვა, ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა მაგალითად ექსკურსიები, ინტელექტუალური თამაშები და ა.შ.

შესაბამისად სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იყვნენ მუდმივად ჩართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა სადაც არ უნდა იყვნენ, დაუბრკოლებრივ და რაც შეიძლება მალე მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

ჩვენ მიერ ჩატერებული კვლევის მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ სტუდენტების დამოკიდებულება ელ.სისტემების ფუნქციონალის მიმართ, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებებს მივცეთ შესაძლებლობა უკეთესად აღიქვან, როგორ შეიძლება გააუმჯობესონ ზემოთ აღნიშნული სისტემები, რათა ისინი უკეთესად პასუხობდეს ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების მოთხოვნებს.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს, ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით, სტუდენტების დამოკიდებულების, მათი მოსაზრებების და შეხედულებების გაცნობა, ასევე უცხოური ანალოგების შესწავლა და ამ მონაცემების საფუძველზე რეკომენდაციების ჩამოყალიბება საუკეთესო ელექტროული ადმინისტრაციული სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

კვლევის ობიექტია სასწავლო/ადმინისტრაციული ელექტრონული სისტემების ფუნქციონალი, განათლების სფეროში.

ნაშრომის გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სასწავლო მენეჯმენტის ელექტრონული სისტემები მოიცავენ გარკვეულ საბაზო ელემენტებს, ზოგიერთ მათგანს გააჩნია საკმაოდ კარგი ფუნქციონალი, მაგრამ ისინი კვლავაც საჭიროებენ დახვეწას.

ნაშრომის სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს კვლევა, რომელიც ჩატარებულია სტუდნეტთა დამოკიდებულების გასარკვევად და ასევე სასწავლო ადმინისტრირების სისტემისთვის აუცილებელი და სტუდენტების მხრიდან ყველაზე სასურველი ფუნქციონალის დადგენა.

Resume:

Under the conditions of today's globalization, technological tasks come forward. To facilitate human activities, they are integrated into different life spheres, including education. That's why the integration of technologies, especially of the educational/administrative systems in education, is quite an important thing. It is aimed at improving student life, simplifying the learning process and administrative activities.

One of the most important parts of student life is study planning processes, performing such actions as interaction with the administration, finding various learning materials as electronically and in the library. Interest in the achievements and results that are expressed by the points, the recommendation of the lecturers etc. Sports and entertainment life is also very important, planning, and implementation of such activities, such as excursions, intellectual games, etc.

Consequently, it is very important for students to be constantly involved in the university life, especially when it's most needed. They should have the opportunity wherever they are, without difficulty and as soon as possible get the necessary information.

The aim of our survey is to establish the attitude of students to the functionality of e-systems, and to provide educational institutions to better understand how to improve the above systems, in what capacity should they function.

The objective of the research is to introduce student attitudes, ideas and opinions, as well as study of foreign analogues and formulate recommendations based on this data to form the best learning management systems.

The object of the research is the functional / educational electronic systems and their functional, in education.

As a result of analyzing the thesis, it can be said that Georgian learning management electronic systems cover certain basic elements, some of which are quite good features, but they still need to be refined.

The research can be considered as a novelty of this paper, which has been conducted to find out the attitude of the students, also the most needed functionality of learning administrative system and the most desirable one for students.

სარჩევი

შესავალი 1

1. **ლიტერატურის მიმოხილვა** 7
2. **ელექტრონული სისტემები და მათი ინტეგრაცია** 13
3. **უცხოური ელექტრონული სისტემები** 16
4. **ქართული გამოცდილება ელექტრონულ სისტემებში** 18
5. **კვლევის აღწერა** 21
6. **კვლევის შედეგები და მათი ანალიზი** 22
   - 6.1. **ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:** 22
   - 6.2. **პირადი ინფორმაცია:** 23
   - 6.3. **სწავლება:** 26
   - 6.4. **ადმინისტრაციასთან ურთიერთობა:** 33
   - 6.5. **ლექტორებთან ურთიერთობა:** 35
   - 6.6. **სისტემის ზოგადი შესაძლებლობები:** 36
   - 6.7. **სასურველი ფუნქციონალი:** 38

დასკვნა 41

ბიბლიოგრაფია 44

შესავალი

დღევანდელობაში, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო მიემართება ადამიანის ფუნქციების, მოვალეობების მაქსიმალურად გამარტივებისაკენ. უკანასკნელი რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში კაცობრიობის ტექნოლოგიური შესაძლებლობები კოლოსალურად გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა საქმიანობის სფეროში მონოტონური და რუტინული შრომის ტექნოლოგიებზე, კომპიუტერებზე გადაბარებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ონლაინ გაყიდვების საიტები, მაშინ, როდესაც სულ რამოდენიმე წლის წინ მხოლოდ უშუალო ფიზიკური მონაწილეობით იყო შესაძლებელი გარკვეული ნივთის შეძენა, დღეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეიძინოს ნებისმიერი სასურველი ნივთი, მხოლოდ გაყიდვების საიტების მეშვეობით.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი არ წარმოადგენს გამონაკლისს, ტექნოლოგიების ინტეგრაცია მიმდინარეობს ნებისმიერ სივრცეში, მათ შორის ადმინისტრირების კუთხითაც. მცირე თუ დიდი ბიზნესი, ყველა ფუნქციების გამარტივებისაკენ მიისწრაფვის, რაც ნაკლებ დანახარჯებს და მეტ მოგებას უზრუნველყოფს. საქმიანობის ადმინისტრირების გასამარტივებლად სხვადასხვა ხერხები არსებობს, მათ შორის საკმაოდ ეფექტური და ფუნქციონალურად გამართლებულია ე.წ. ERP(Enterprise Resource Planning) სისტემები.

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ERP სტრატეგიის დანერგვის ძირითადი მნიშვნელობა? ეს არის ორგანიზაციის სტრატეგია მოახდინოს ინტეგრაცია წარმოების, სხვადასხვა ოპერაციების, ადამიანური რესურსებისა და აქტივების მართვის, ასევე ფინანსური მენეჯმენტის. იგი ორიენტირებულია საწარმოო რესურსების ოპტიმიზაციასა და უწყვეტ ბალანსირებაზე, სპეციალური

ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს პროცესებისა და მონაცემების საერთო მოდელს. ხოლო თავად ERP სისტემა წარმოადგენს სწორედ, ზემოთ აღნიშნულ, პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტს, რომელიც ანხორციელებს ERP სტრატეგიას.

ახლა განვიხილოთ რას წარმოადგენს LMS (Learning Management Sysyem) სისტემები. ეს არის ინფრასტრუქტურა, რომელიც გვეხმარება საგანმანათლებლო პროცესების განხორციელებაში. იგი განსაზღვრავს და აფასებს სწავლისა და სწავლების პროცესს. სისტემა აანალიზებს მიზნებს და იძლევა მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, გვაჩვენებს როგორია სწავლის პროცესში სტუდენტის პროგრესი. LMS სისტემების გამოიყენება არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ მაგალითად ფარმაცეპტულ, ფინანსურ და ა.შ. სფეროებში. სწავლებისა და სასწავლო რესურსების დასაგეგმად (ERP).

LMS-ი მდიდარია სასწავლო მასალებით: ტექსტუალური, ვიდეო, სურათები, პრაქტიკული შეკითხვები. ასევე სხვადასხვა აქტივობებზე დაფუძნებული პრაქტიკული გაკვეთილებით სწავლების საშუალებას იძლევა.

ამ ორი მნიშვნელოვანი სისტემის განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ LMS სისტემები გარკვეულწილად წარმოადგენენ ERP სისტემების ნაწილს განათლების მიმართულებით. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სწავლების პერიოდში სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია, როგორც საგანმანათლებლო ასევე ადმინისტაციული საკითხები, აუცილებელია მოხდეს ERP და LMS სისტემების შესწავლა და გაანალიზება.

ტექნოლოგიების ინტეგრაციის ტენდენციებს არც საგანმანათლებლო სფერო ჩამორჩება. რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული განსხვავებები ERP სტრატეგიის განხორციელებისას ბიზნეს და განათლების სექტორებში,

რადგან კერძო სექტორი მეტადაა ორიენტირებული მაქსიმალური მოგების მიღებაზე, მაგრამ ძირითადი ამომავალი აზრი ერთი და იმავე მიზანს ემსახურება. საგანმანათლებლო სფეროში ზემოთ აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა მნიშვნელოვნად ამარტივებს, როგორც სტუდენტების, ასევე ლექტორებისა და ადმინისტრაციის ორგანოების საქმიანობას. არსებობს უარყოფითი მხარეც, ასეთი სისტემის დანერგვა საკმაოდ შრომატევადი, საპასუხისმგებლო და ხანგრძლივი პროცესია. ძალიან მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს სისტემური უზრუნველყოფის პაკეტის შერჩევა, რათა იგი მაქსიმალურად მოერგოს სასწავლო პროცესის ყველა მოთხოვნილებასა და დეტალს. შესაბამისად ფუნქციონალი, რომელიც ამ სისტემას გააჩნია, შეიძლება ითქვას, ყველაზე ფასდაუდებელი მონაპოვარია, რაც კი შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულებამ ამ სტრატეგიის საშუალებით მიიღოს და გამოიყენოს საკუთარი საჭიროებებისათვის.

ნაშრომის ძირითადი მიზანიც სწორედ ისაა, რომ შეისწავლოს, როგორი ფუნქციონალის სისტემებია მაქსიმალურად ეფექტური საგანმანათლებლო პროცესში დასანერგად, კონკრეტულად კი განათლების ადმინისტრირებისათვის. რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი სისტემის ფუნქციონალის შერჩევისას, რომელი მიმართულების არჩევა უნდა მოხდეს მაქსიმალურად ეფექტური შედეგის მისაღებად. როგორ უნდა მოხდეს, საქართველოს განათლების სისტემაში უკვე დანარგილი სისტემების გაუმჯობესება, დახვეწა, ეფექტურობის გაზრდა.

ამ საკითხების შესასწავლად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტების დამოკიდებულება ასეთი სისტემებისადმი. ტექნოლოგიების ინტეგრაციის შედეგებს ყველაზე მკაფიოდ სწორედ ისინი აღიქვამენ, შესაბამისად სტუდენტების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით დაგვანახებს საით უნდა მიმართონ საგანმანათლებლო

დაწესებულებებმა განვითარების ვექტორი, მაქსიმალურად ეფექტური შედეგების მისაღებად.

განათლების ადმინისტრირების სიტემების შესასწავლად შესაძლებელია რამოდენიმე მიდგომის კომბინირება. მაგალითად, როგორიცაა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ მხრივ არსებული სიტუაციის შესწავლა. ასევე საინტერესოა გავარკვიოთ როგორია მდგომარეობა უცხოეთში. რომელ სისტემებს იყენებენ, რამდენად ეფექტურია ისინი, რა საერთო და განსხვავებებია ქართულ სისტემებთან მიმართებაში. როგორ ფუნქციონალს ენიჭება უპირატესობა და რატომ.

ფუნქციონალის მიხედვით სისტემები მრავალგვარია, ამიტომაც უნივერსიტეტები დილემის წინაშე დგებიან, როგორი სისტემა გამოიყენონ. ნაშრომი მათ დაეხმარება სწორად შეარჩიონ ფუნქციონალი და გაითვალისწინონ სტუდენტების მოთხოვნები.

არსებობს სისტემები, რომელთა ყიდვა შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში, მათ შორის განსხვავებები საკმაოდ ბევრია, შეიძლება გააჩნდეთ ღია ან დახურული კოდი, სხვადასხვა ფასი, განსხვავდებიან მწარმოებელი კომპანიების მიხედვით და რაც ყველაზე მთავარია ფუნქციონალით. ამ სხვაობიდან გამომდინარე, აუცილებელია მოხდეს ამ საკითხის საფუძვლიანად შესწავლა, რათა მივიღოთ მაქსიმალურად ეფექტური შედეგი. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებებებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებელობა ასეთი სისტემის ონლაინ რეჟიმში არჩევის და ყიდვის, მაგრამ პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდნონ იმ ფაქტს, თუ სისტემის ფუნქციონალი რამდენად პასუხობს სტუდენტების მოთხოვნებს.

ქართული განათლების ადმინისტრირების სისტემების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ყველაზე ეფექტური საშუალებაა სტუდენტთა LMS სისტემით კმაყოფილების კვლევის ჩატარება. იგი იქნება თვისებრივი. მისი

საშუალებით გავიგებთ, რამდენად კარგადაა ინტეგრირებული სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ეს მეთოდი. იმის მიხედვით თუ რა შესაძლებლობები გააჩნია სხვადასხვა უნივერსიტეტების ელექტრონულ სისტემებს, დავადგინოთ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ამ ფუნქციონალის არსებობა, რამდენად გამოყენებადია და თუ ინდომებდნენ დაემატებინათ სხვა ფუნქციებიც, რომლებიც გაუმარტივებდათ სასწავლო პროცესს. ამ კვლევის საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს ამ მიმართულებით განვითარების რამდენად სწორი გზა აქვთ არჩეული ქართულ უნივერსიტეტებს.

თუ განვიხილავთ საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რამოდენიმე მაგალითს, შეიძლება ითქვას, რომ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომები არსებობს. მაგალითად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ადმინისტრირების სისტემა, სახელწოდებით „არგუსი“. ზოგიერთი უმაღლესი, მათ შორის თბილისის სახელმწიგო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და ა.შ., იყენებს ერთდროულად ორ სისტემას, თავად უნივერსიტეტის სისტემასა და e-learning-ს. ამ უკანასკნელის შესაძლებლობებში შედის ელექტრონული სასწავლო მასალების გამოყენების, ატვირთვის, ჩამოტვირთვის, სხვადასხვა კურსების მოძიების, მათზე გაწევრიანების, დახურული ჩათის, ფორუმის და სხვა ფუნქციონალი. ამ ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რადგან უნივერსიტეტის შიდა სისტემას არ გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები, აუცილებელი გახდა დამატებით სისტემის გამოყენება. თუმცა ორ განსხვავებულ სისტემაში მუშაობა სტუდენტისთვის შეიძლება მოუხერხებელი იყოს და დღის წესრიგში დადგეს ამ სისტემების გაერთიანება.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე არასოდეს მომხდარა სხვადასხვა ელექტრონული, სასწავლო და ადმინისტრირების, სისტემების ეფექტურობის კვლევა. შესაბამისად არ

არსებობს სამეცნიერო ნაშრომები ამ კუთხით. აღნიშნული საკითხიც არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და საჭიროებს ჩაღრმავებას. რაც დაეხმარება უნივერსიტეტებს, რომლებიც ცდილობენ განავითარონ და სტუდენტების მოთხოვნილებებს მოარგონ უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემები, რაც თავის მხრივ გაზრდის სტუდენტთან კმაყოფილების დონეს.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში ასახული პრობლემა მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ არსებული სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეები არ არის შესწავლილი, არც სტუდენტების დამოკიდებულების მხრიდან, და ასევე არც სისტემის შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით. ასევე არაა შესწავლილი ფუნქციონალი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასეთ სისტემებზე საუბრისას. სწორედ მისი საშუალებით ხდება სასურველი შედეგების მიღწევა, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო თვალსაზრისით. ელექტრონული სისტემა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და ქმედითი საშუალებაა სტუდენტური ცხოვრების გასამარტივებლად.

რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტები ცდილობენ კიდეც გააუმჯობესონ ელექტრონული სისტემების ფუნქციონალი, დაამატონ მას შესაძლებლობები და შესაბამისად გაზარდონ სისტემის ეფექტურობა და სტუდენტების კმაყოფილება, მაგრამ პრობლემის ძირფესვიანად შესწავლის გარეშე, საკმაოდ რთულია ღირებულ შედეგზე გასვლა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ქართული სისტემების ფუნქციონალური კვლევები, სტუდენტების დამოკიდებულების გათვალისწინებით, არ არსებობს. მაგრამ საინტერესოა შევისწავლოთ როგორია სიტუაცია ამ მხრივ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებში. რომელ სისტემებს ანიჭებენ უპირატესობას, რა განსხვავებებია მათ შორის.

ამ დაკვირვების განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი ნაშრომებისა და კვლევების შესწავლა, რადგან საინტერესოა რა მიდგომები არსებობს სხვადასხვა ქვეყნებსა და შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასეთი სისტემების მიმართ. წარმოადგენენ თუ არა ისინი

სასწავლო პროცესის გამარტივების საშუალებას, თუ მხოლოდ ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ხერხად შეიძლება განვიხილოთ.

სტატიაში - Abhishek Kulkarni, Nikesh Hegde, Monika Sharma, (January 2015) Educational ERP Systems In The Market – A Comparative Study (07.04.2019) შედარებულია რამდენიმე ელექტრონული ადმინისტრირების სისტემა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს განათლებაში, უნივერსიტეტების ელექტრონული სისტემების სახით. შედარებულია შემდეგი სისტემები: Fedena, Onecampus, EducationERP (Odoo), CampusERP.

თითოებული მათგანის ფუნქციონალი და თვისებები:

Fedena:

1. ოპტიმიზირებულია კონფიგურაციისთვის;
2. ატვირთულია Cloud სერვერებზე;
3. აქვს რამოდენიმე ენის მხარდაჭერა;
4. მობილურ მოწყობილობებზე მორგებულია;
5. ფასი ხელმისაწვდომია;

Onecampus:

1. ორგანიზებული ფორმის მოდულები;
2. ტექნოლოგიურად მდიდარი;
3. სწრაფი გადაწყვეტილებაა;
4. ჩაშენებული აქვს სასწავლო სისტემა;

EducationERP (Odoo):

1. საგანმანათლებლო საჭირეოებების მრავალმხრივი მხარდაჭერა;

2. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა;
3. ანგარიშების მომზადება დინამიურად;

CampusERP:

1. მარტივი ინტერფეისი;
2. მოდულების განაწილება როლების მიხედვით;
3. მშობელთა მონიტორინგის მხარდაჭერა;

ნაშრომში მოცემულია კრიტერიუმები რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სისტემის შერჩევა:

1. მომწოდებლები - რა პოზიცია უჭირავთ ბაზარზე, მათი მომხმარებლები და წინა გამოცდილება;
2. განხორციელების, შეძენის, მხარდაჭერისა და განახლების ღირებულება უნდა იყოს ბიუჯეტის ფარგლებში;
3. მომწოდებლის წარსული განხორციელებული პროექტები, საგანმანათლებლო ERP სისტემები, იმავე პროგრამული უზრუნველყოფით და გამოყენებული ტექნოლოგიებით;
4. რა სახის რისკის და გარანტიები არსებობს? ERP მოხმარება შეიძლება გაგრძელდეს დაახლოებით 10-15 წლის მანძილზე. ხოლო დოკუმენტები უნდა შეიცავდეს მომსახურების დაკმაყოფილების პირობებს, რომელიც ითვალისწინებს შემსყიდველთან მომსახურების გაგრძელებას;

5. შეფასება, რამდენად შეუძლია მომწოდებელს მხარდაჭერა სისტემის დანერგვისას;

ასევე, როგორც აღნიშნულია სტატიში, ძალიან მნიშველოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონალი უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ბიზნეს პროცესებს;
2. სისტემაში ცვლილებების განხორციელებეის სიმარტივე, მომხმარებლისათვის ადვილად აღსაქმელი;
3. პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგია არ უნდა იყოს ძალიან ძველი;

სისტემის არჩევისას ამ ფაქტორების გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს უნიერსიტეტებისთვისაც, თუმცა ასევე ძალიან საყურადღებოა რომელი ფუნქციონალია მეტად პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი ქართველი სტუდენტებისთვის. ამ განხრით კვლევა არ არის ჩატარებული, შესაბამისად ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ მიმართულებით შეიტანს სიცხადეს.

საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის შემდეგი სტატიაც Avinash Gutte, Nikhil Kate, Ajayraj Hulikere and Shrikant Kokate (30.03.2014) E-College: An ERP for Educational Institute (14.04.2019). მასში შესწავლილია კონკრეტული ელექტრონული სისტემა, სახელწოდებით E-collage, აღწერილია რა მახასიათებლები, ფუნქციონალი გააჩნია ამ სისტემას.

E-collage-ს აქვს შემდეგი მოდულები:

1. სტუდენტური საინფორმაციო სისტემა;
2. პერსონალის საინფორმაციო სისტემა;

3. დასწრების მენეჯმენტი;
4. შეფასებების მართვა (სამუშაოს ჩაბარების ვადების მინიჭების შესაძლებლობა);
5. განრიგის მართვა;
6. სტუდენტის/ფაკულტეტის დაფა;
7. შენიშვნების დაფა;
8. აკადემიური საქმიანობის მენეჯმენტი;
9. სტუდენტების შედეგები;
10. უნივერსიტეტის დატოვების მენეჯმენტი;

როგორც ნაშრომში ვკითხულობთ, სწორად შერჩეული და განხორციელებული ERP სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია. ERP-ის წარმატებული განხორციელაბა და მომავალი არ არის დამყარებული ტექნოლოგიების განვითარებაზე, იგი ორიენტირებულია ისე მოერგოს ადამიანსა და თავად ბიზნესს, რომ დაკმაყოფილდეს ბიზნეს საჭიროებები და ამოცანები. ავტორის აზრით მომავალში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მონაცემთა ბაზები და მონაცემთა საწყობები, შესაბამისად სწორი დაგეგმვის, მართვისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გამოიყენონს ERP სისტემები.

Chirag Patel, Mahesh Gadhavi, Dr. Atul Patel (June-2013) A survey paper on e-learning based learning management Systems (LMS) (30.05.2019) სტატიაში განხილულია e-learning ბაზაზე დაფუძნებული სასწავლო ადმინისისტრაციული ელეტრონული სისტემები. თითოეული მათგანი შესწავლილია სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით - ტექნოლოგიები, ფუნქციები და პლატფორმის შესაძლებლობები. ეს სტატია გვეხმარება

ელექტრონულ სისტემებთან დაკავშირებული ინფორმაციის სწორად აღქმაში. ნაჩვენებია რამოდენიმე სისტემა, ერთ-ერთი მათგანი შექმნილია Sergio Rapuano და Francesco Zoino - ს მიერ, ეს არის LMS სისტემა, რომელსაც გააჩნია ძალიან საინტერესო ფუნციონალი, შეუძლია ადვილად ინტეგრირდეს უკვე დანერგილ, ძველ LMS სისტემასთან. დავალებების შეასრულება შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან მთავარია იყოს ინტერნეტზე წვდომა. შესაბამისად სისტემა მუშაობს საზღვარგარეთიდანაც, რაც სტუდენტებისთვის ძალიან მოსახერხებელია.

აღნიშნული ნაშრომების განხილვით ვადგენთ რა სიტუაციაა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაგრამ თავისთავად ისინი არ მოიცავენ ქართულ სისტემებს და შესაბამისად ვერც ადგილობრივი სტუდენტების საჭიროებებსა და დამოკიდებულაბას განსაზღვრავენ. ამიტომ რთულია ასეთი კვლევების მორგება ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეალობაზე, მაგრამ სასარგებლოა შედარების კუთხით.

2. ელექტრონული სისტემები და მათი ინტეგრაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ საგანამალათლებლო დაწესებულებისათვის ელექტრონული სისტემის არჩევა საკმაოდ შრომატევადი, საპასუხისმგებლო და ამასთანავე ხანგრძლივი პროცესია. საჭიროა არსებობდეს ადამიანი, რომელსაც გარკვეულ წილად მაინც ესმის ტექნიკური ფუნქციონალის მნიშვნელოვაბა, ამასთანავე ახლოსაა განათლების ადმინისტრირებისა და სწავლების პროცესებთან, ერკვევა ბიზნესის განვითარების ეტაპებში.

სისტემის შერჩევა სასურველია მოხდეს ეტაპობრივად, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს რა საჭიროებები, მოთხოვნილებები გააჩნია კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორია სტუდენტების დამოკიდებულება ასეთი სისტემებისადმი, რას ისურვებდნენ რომ დაემატებინათ ფუნქციონალისთვის. ამ კუთხით საინტერესოა სტუდენტების აზრი, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ყველაზე ხშირად იყენებენ ასეთი ტიპის სისტემებს დანიშნულებისამებრ და დიდი შანსია, რომ სწორედ მათ დაებადოთ საინტერესო იდეები, როგორ შეიძლება საგანმანათლებლო ელექტრონული სისტემები განვითარება და საჭიროებებზე მეტად მორგება.

საჭიროა ჩავუღმავდეთ სისტემების შერჩევის ხერხებს. დღევანდელობაში ინტერნეტით შესაძლებელია უამრავი პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა, მათ შორის ERP სისტემების შერჩევა საჭიროებისამებრ. არსებობს საიტები, სადაც განთავსებულია ე.წ. ელექტრობნული სისტემების „თემფლეითები“. რას მოიაზრებს „თემფლეითი“? ეს არის სისტემური უზრუნველყოფის შაბლონი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა დანიშნულებით. აქ ინტეგრიდებულია სხვადასხვა ტიპის მოდულები, მაგალითად ქულების, სასწავლო ცხრილების და ა.შ. მოდულები. მთავარია სწორად შეგვეძლოს მისი შერჩევა და მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად მიახლოებულის პოვნა.

საკმაოდ ხშირია საგანმანათლებლო სისტემების შერჩევის „თემფლეითური“ პრაქტიკა. რა თქმა უნდა, მას გააჩნია გარკვეული უპირატესობები და ნაკლოვანებები. დადებით მხარეებში შეიძლება მოვიაზროთ ის ფაქტი, რომ ასეთი მზა შაბლონის შეძენა არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან, შესაძლებელია მომენტალურად განხორციელდეს საიტზე სულ რამოდენიმე მოქმედებით. ასევე საინტერესოა, რომ შესაძლებელია ასეთი შაბლონების არჩევა დიზაინის მიხედვითაც, მაგალითად ისეთის, რომელიც მეტად შეესაბამება კონკრეტული უნივერსიტეტის შეხედულებებსა და დიზაინერულ ხედვებს.

უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ასეთ შაბლონურ სისტემებს გააჩნიათ მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ფუნქციონალი, და საჭიროების, სურვილის შემთხვევაში საკმაოდ რთულია დავამატოთ მას ახალი, განსხვავებული ფუნქციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტულ, ინდივიდუალურ მიზნებზე მორგება საკმაოდ რთული ხდება.

მზა შაბლონების გარდა აგრეთვე შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამის კომპანიას, ან პროგრამისტების ჯგუფს შეაქმნევინოს ინდივიდუალური, საკუთარ სურვილებზე მორგებული ფუნქციონალის სისტემა. ასეთ შემთხვევაშიც გვაქვს გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ასეთი მიდგომის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს, ის რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ინდივიდუალური ელექტრონული სისტემა ზუსტად იქნება მორგებული მის ყველა მოთხოვნილებას, რადგან შექმინილია სწორედ ამ მოთხოვნილებებზე დაყრდნობუთ. ასევე ექნება ინდივიდუალური, სურვილისამებრ საინტერესო, „კრეატიული“ დიზაინი.

მომავალში, ამ საქმის მცოდნეებისთვის, ადვილი იქნება ასეთი სისტემის სახეცვლილება, ფუნქციების, შესაძლებლობების დამატება, გამოკლება.

უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ასეთი სისტემის შექმნა საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და დროში გაწელილი პროცესია, რადგან აუცილებელია სისტემა ზუსტად ერგებოდეს მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება ელექტრონული სისტემების ინტეგრაციას საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო თუ ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ეს პროცესი საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივია, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი სისტემების გამოყენება შესაძელებლია წლების განმავლობაში. სანამ დაწესებულება არ გადაწყვეტს რომ საჭიროა სისტემის სრული ცვლილება, გარკვეული განახლებების ხარჯზე სავსებით შესაძლებელია მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მიზნების განხორციელება.

3. უცხოური ელექტრონული სისტემები

განვიხილოთ რამოდენიმე ცნობილი უცხოური ელექტრონული სისტემა, რომლებიც ლიდეროებენ ამ ბაზარზე. რა თქმა უნდა, საინტერესოა მათი ფუნქციონალი და შესაძლებლობები.

TalentLMS - სისტემა მარტივად მორგებადია სხვადასხვა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. მას გააჩნია ისეთი მნიშვნელოვანი ფუნციები, როგორიცაა: მომხმარებლების გაფართოებული პროფილი, თამაშებით სწავლება, ვიდეო კონფერენციები, ფასიანი კურსები, შეტყობინებები, SCORM & TinCan მხარდაჭერა. სისტემა სრულიად მორგებულია ყველა ტიპის მოწყობილობაზე და აქვს როგორც ანდროიდის, ასევე iPhone/iPad მოწყობილობების მხარდაჭერის შესაძლებლობა.

ამ სისტემის უპირატესობებია: იგი Cloud-ზეა დაფუძნებული და საშუალებას იძლევა სასწავლო სისტემა წუთებში გაიმართოს მომხმარებლებისთვის. კიდევ ერთი უპირატესობაა სისტემის მინიმალისტური ინტერფეისი, რომელიც საშუალებას იძლევა მეტი ფოკუსირება მოხდეს არა დიზაინზე არამედ სისტემის შინაარსზე.

Schoology – ეს არის უახლესი LMS სისტემა, რომელიც ამარტივებს და საკმაოდ სწრაფია აკადემიური ნაშრომების გამოსაქვეყნებლად. იგი გვთავაზობს შერეულ სასწავლო გარემოს, რათა ჩვეულებრივი LMS უფრო ეფექტური გახადოს, იგი უზრუნველყოფს ადაპტირებულ სწავლებას, რომელიც მოიცავს აგრეთვე შინაარსობრივ მართვას.

სისტემა სტუდენტზე ორიენტირებულია და ხელს უწყობს მათ შორის თანამშრომლობას, ასევე სტუდენტების ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. საშუალებას აძლევს ლექტორებს, მასწავლებლებს გააზიარონ

საკუთარი პრაქტიკა, როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური მასშტაბებით.

Schoology-ის ძირითადი მახასიათებლები და შესაძლებლობებია: კურიკულუმის მენჯმენტი, განცხადებების დაწერის შესაძლებლობა, თანამშრომლობაზე დაფუძნებული დიზაინი, „ონლაინ“ საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრალიზაცია, ავტომატურად განახლებადი „ონლაინ“ მოდული ქულებისთვის, ანალიტიკური მუშაობის შესაძლებლობა.

Docebo – ეს სისტემა მორგებულია სხვადასხვა მოწყობილობებზე, ცვლილებების შეტანა მარტივია. აქვს მხარდაჭერა 30-ზე მეტი ენისთვის. იგი მოიცავს ერთ გვერდიან, ადვილად სამართავ ვებ აპლიკაციას, რომელსაც შეუძლია დაგეგმოს და მართოს სასწავლო აქტივობა. ამ სისტემის გამოყენება შეუძლია ნებირმიერ საგანამანათლებლო დაწესებულებას, იგი მორგებულია სტუდენტთა დიდ რაოდენობაზე, გათვლილია დაახლოებით 300 000 მომხმარებელზე ონლაინ კურსებით სარგებლობისას.

Docebo - ს მთავარი ფუნქციებია eCommerce მხარდაჭერა, საკლასო მენეჯმენტი, შერეული სწავლება, ასინქრონული სწავლება, AICC/SCORM პროგრამის მხარდაჭერა. ამასთან, LMS-ი ასევე გვთავაზობს თანამედროვე და მომხმარებელზე მორგებულ დიზაინს, მოდულარულობას, ინოვაციებს, ფასების მოქნილ მოდელს და სისტემის უფასო გამოცდის საშუალებას.

4. ქართული გამოცდილება ელექტრონულ სისტემებში

განვიხილოთ რამოდენიმე ქართულ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული სისტემა. საინტერესოა შევისწავლოთ მათი ფუნქციონალი და ამასთანავე დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - მოქმედებს სპეციალურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის შექმნილი სისტემა, იგი განთავსებულია sms.tsu.ge დომეინზე. სისტემა გამოიყენება ძირითადად ინფორმაციის მიღების დანიშნულებით. გააჩნია შემდეგი ფუნქციონალი: სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი პირადი ინფორმაციის ნახვა, ნაწილობრივ შეცვლაც. განთავსებულია განვლილი საგნების, კრედიტების რაოდენობის, მიღებული შეფასებების, გამოცდების თარიღების, სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დაგროვილი კრედიტების, GPA-ს ნახვის შესაძლებლობა. სტუდენტებს შეუძლია სისტემიდანვე დაწერონ განაცხადი აპელაციაზე, შეადგინონ სასწავლო ცხრილები საგნების, ლექტორებისა და დროების არჩევით, შეარჩიონ საკუთარი პროფესია და ასევე „მაინორ“ პროფესია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამატებით იყენებს საკმაოდ ცნობილ ელექტრონული სწავლები სისტემას, სახელწოდებით - E-learning. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტის ძირითად სისტემას არ აქვს შესაძლებელობა, ყველანაირი ფუნქციონალის მხარდაჭერის, შესაბამისად ლექტორები იყენებენ ამ დამატებით სისტემებს, რათა სტუდენტებს მიაწოდონ სასწავლო მასალები ელექტრონულად, ატვირთონ ვიდეოები, სურათები, ტექსტური ფაილები, შექმნან ტესტები და ა.შ.

აღმოსავლეთ ევრობის უნივერსიტეტი - რაც შეეხება eeu-ს, მისი სისტემა შექმნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემის ანალოგად,

გააჩნია იგივე ფუნქციები, რაც sms.tsu.ge-ს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი ნაკებად გამართულია, რადგან ზოგიერთი ფუნქციონალი არ მუშაობს ჯეროვნად.

სასწავლო მასალების ასატვირთად და სტუდენტებზე გასაზიარებლად ამ უნივერსიტეტში ზოგიერთი ლექტორიც იყენებს Moodle-ის სისტემას, ზოგიც კი ჯგუფისთვის გახსნილ უფასო ელექტრონულ ფოსტას ან ფეისბუქის ჯგუფს.

ამ დროისათვის უნივერსიტეტი მუშაობს ახალი სისტემის შემუშავებაზე, ვფიქრობთ აღნიშნული ნაშრომი შეიძლება გამოადგეს eeu-ს სტუდენტების სურვილებსა და მოთხოვნილებებზე ახალი სისტემის ფუნქციონალის მაქსიმალურად მოსარგებად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - სპეციალურად ამ უნივერსიტეტისთვის შექმნილია ელექტრონული სისტემა სახელწოდებით - „არგუსი“. იგი მუშაობის ორ რეჟიმს მოიცავს - „არჩევის“ და „საინფორმაციო“. არჩევის რეჟიმში ყოფნისას სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს აირჩიონ სასურველი საგნები, რა თქმა უნდა გარკვეული წინაპირობების გათვალისწინებით. ფერების მიხედვითაა გარჩევადი რომელი საგანია სავალდებულო, რომელი არჩევითი და რომელი სავალდებულო-არჩევითი, ასევე შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის ნახვა ლექტორების, ჯგუფების, სასწავლო საათების, ასევე განვლილი წინაპირობების შესახებ. სისტემა არჩევით რეჟიმში იმყოფება დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში, სწორედ ამ პერიოდში უნდა მოასწრონ სტუდენტებმა, საკუთარი ცხრილებისა და საგნების შერჩევა.

რაც შეეხება სასწავლო, საინფორმაციო რეჟიმს, იგი მუდმივად აძლევს შესაძლებლობას სტუდენტებს ნახონ ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა მაგალითად სასწავლო საფასურის გადახდები, დავალიანებები, გავლილი საგნები, მიღებული შეფასებები, დაგროვილი კრედიტები, ცხრილები, რა

სიახლეები უნივერსიტეტში, სტუდენტებს ასევე შეუძლიათ სისტემის საშუალებით დაეკონტაქტონ ლექტორს, და მისგან მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

სასწავლო მასალების, ვიდეოების, სურათების ტექსტური ფაილების ასატვირთად არგუსიც იყენებს Moodle-ის სისტემას, რომელიც განთავებულია უნივერსიტეტი სუბდომეინზე - moodle.iliauni.edu.ge.

5. კვლევის აღწერა

კვლევა ჩატარდა სამი ქართული უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემების ფუნქციონალის და მათ მიმართ სტუდენტების დამოკიდებულების შესასწავლად.

კვლევის მეთოდია თვისებრივი. ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით გამოკითხული იქნა ორი სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ერთი კერძო უნივერსიტეტის (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) სტუდენტები. თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გამოკითხული იქნა 5 სტუდენტი, რათა გაგვერკვია რამდენად ხშირად იყენებენ ელექტრონულ სისტემებს, არის თუ არა მნიშვნელოვანი მათთვის კონკრეტული ფუნქციონალი და რამდენად კმაყოფილები არიან მისი გამოყენებით (თუ ეს კონკრეტული ფუნქციონალი გააჩნია მათი უმაღლესის საგანმანათლებლო დაწესებულების ელექტრონულ სისტემას), ასევე გვქონდა შეკითხვები ახალი ფუნქციონალის დამატებასთან დაკავშირებით.

6. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი

გთავაზობთ კვლევის კითხვარს, მის შედეგებსა და ანალიზს, თითოეულ შეკითხვაზე კონვენტრირებით

6.1. ზოგადი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:

- **რომელი უნივერსიტეტის სტუდენტი ბრძანდებით?**

გამოკითხულთა შორის იყვენენ აღმოსავლეთ ევროპის, თბისლისის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები.

- **რომელს საფეხურზე სწავლობთ (ან სწავლობდით)?**

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტები.

- **ფაკულტეტი**

ფაკულტეტების ჩამონათვალი შემდეგნაირია: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, იურიდიული, ბიზნესი, ფილოლოგია, სამართალი.

- **თქვენი GPA**

სტუდენტაბის უმეტესობამ დაასახელა საკუთარი GPA. დანარჩენებმა არ იცოდნენ სხვადასხვა მიზეზების გამო. ხშირად უბრალოდ არ ახსოვდათ. ასევე, როგორც გაირკვა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არ მოქმედებს GPA-ის დათვლის წესი, შესაბამისად სისტემაშიც არ არის გათვალისწინებული GPA-ს ნახვა, მხოლოდ საგანთა შეფასებების საშუალო ქულაა დათვლილი - „100 ქულით ისაზღვრება და 93,266666666667 მაქვს“

- **სქესი**

გამოკითხულთა შორის იყვნენ ორივე სქესის წარმომადგენლები.

- **რამდენად ხშირად სარგებლობთ თქვენი უნივერსისტეტის სასწავლო ელექტორნული სისტემით?**

როგორც გამოიკვეთა გამოკითხული სტუდენტების ნაწილი ხშირად სარგებლობებს ელექტრონული სისტემით, დანარჩენები კი, უმეტეს წილად, გამოცდების პერიოდში, ქულების და საგამოცდო თარიღების სანახავად.

6.2. პირადი ინფორმაცია:

- **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის და ხართ თუ არა კმაყოფილი სასწავლო ელექტრონულ სისტემაში თქვენი ანკეტის ნახვის შესაძლებლობით?**

როგორც აღმოჩნდა, პირადი ინფორმაციის ნახვის შესაძლებლობა საშუალოდ მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, მაგრამ ისმის კითხვა რამდენად კმაყოფილები არიან ისინი საკუთარი უნივერსიტეტის სისტემებით ამ მხრივ? გამოიკვეთა, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და თსუ-ს სისტემები ვერ აკმაყოფილებენ სტუდენტების მოთხოვნებს ამ მხირვ, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემის შესაძლებლობები ამართლებს სტუდენტების მოლოდინს. ამ დაწესებულების ერთ-ერთი სტუდენტის აზრით - „პირადი ინფორმაციის ნახვის შესაძლებლობა აუცილებლად უნდა ჰქონდეს თითოეულ სტუდენტს, რადგან სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეცვალოს, ჩაამატოს ან განაახლოს თავისი პირადი ინფორმაცია“

- **რას ფიქრობთ თქვენი ანკეტის რედაქტირების შესაძლებლობაზე? ხართ თუ არა კმაყოფილი?**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტიების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ ანკეტის რედაქტირების შესაძლებლობით უკმაყოფილონი არიან, რადგან ეს შეუძლებელია, არსებობს რედაქტირების გვერდი, მაგრამ ინფორმაციის შეცვლის შემდეგ ეს ინფორმაცია არ ინახება საიტზე. შედარებით უკეთესი სიტუაცია იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აღნიშნავდნენ რომ შესაძლებელია გაკრვეული კომპონენტების

რედაქტირება, მაგრამ არ შეეძლოთ მაგალითად სურათის ცვლილება. ერთ-ერთმა სტუდენტმა ისიც აღნიშნა, რომ რაღაც პერიოდის მანძილზე სურათიც რედაქტირებადი იყო, მაგრამ შეცვლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ დაებრუნებინათ ძველი, ე.წ. 3x4-ზე სურათი, ადმინისტრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, სტუდენტები საკმაოდ კმაყოფილები აღმოჩნდნენ რედაქტირების საშუალებით, მართალია ისეთი ძირითადი ინფორმაციის რედაქტირება არ არის შესაძლებელი, როგორიცაა მაგალითად: მეილი, პირადი ნომერი, იურიდიული მისამართი, დაბადების თარიღი, მაგრამ გამოიკვეთა რომ დანარჩენი ინფორმაცია რედაქტირებადია მაგალითად საკონტაქტო ნომერი, ფაქტობრივი მისამართი და ა.შ.

- **როგორ მოგწონთ გადახდების/დავალიანების ნახვის შესაძლებლობა?**

სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გადასახადების ნახვის შესაძლებლობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფუნქციონალია. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ არ არიან კმაყოფილი ამ ფუნქციით, აღნიშნავენ - „გადახდები არ არის კარგად ასახული“, როგორც შემდგომში აღმოჩნდა ასეთი შეხედულების პატრონი მხოლოდ გრანტიანი სტუდენტები იყვნენ, რადგან მათი დავალიანება არ აისახება სწორად, ხოლო დანარჩენი სტუდენტებისთვის სისტემა სწორად მუშაობს. თსუ-სთან მიმართებაში შედარებით უკეთესი სიტუაციაა, რადგან სისტემა ყოველთვის ზუსტად აჩვენებს მონაცემებს. ილიაში ზუსტი მონაცემების გარდა დამატებითი შესაძლებლობებიც აღმოაჩნდა სისტემას, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მოსწონთ გადასახადების გრაფიკის ნახვის შესაძლებლობა.

- **მოგწონთ თუ არა პირადი ინფორმაციის მიხედვით რეზიუმეს გენერირების შესაძლებლობა? თუ ეს შესაძლებელია თქვენს სისტემაში, ასევე ხართ თუ არა კმაყოფილი რეზიუმეს pdf-ში გადაყვანის/ამობეჭდვის შესაძლებლობით?**

ასეთი შესაძლებლობა აღმოაჩნდა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, დანარჩენი უნივერსიტეტების სტუდენტები აღნიშნავენ რომ კარგი იქნებოდა ასეთი ფუნქციის არსებობა. ხოლო თავად ილიას სტუდენტები როგორც აღმოჩნდა ძალიან კმაყოფილები არიან ამ ფუნქციონალით. ამბობენ, რომ უსარგებლიათ, მაგრამ გარკვეული მონაცემების ცვლილება უწევთ ხოლმე დაგენერირებულ რეზიუმეში, მაგალითად მეილის. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ასეთი რეზიუმე უნივერსიტეტისთვისაც კარგია, რადგან დამსაქმებელი რომ მოვა მაშინვე შეუძლიათ მიაწოდონ რეზიუმე - „ნუ რა თქმა უნდა ნებართვაც უნდა მისცე ადმინისტრაციას".

- **გაქვთ თუ არა და თუ ისურვებდით ისეთი დოკუმენტების ნახვის შესაძლებლობას, როგორიცაა მაგალითად სტუდენტის ეთიკის კოდექსი?**

ამ კითხვაზე პასუხების ანალიზით აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სტიდენტისთვის არც თუ ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ფუნქცია, მაგრამ არც ერთი უნივერსიტეტის სისტემა (მათი აზრით) არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნასაც კი.

- **გნებავთ თუ არა მიიღოთ შეტყობინება თუ როდის იქნება შესაძლებელი ბაზაში საგნების არჩევა?**

ეს ფუნქცია სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, მაგრამ უნივერსიტეტები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას.

- **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი შეტყობინებების თემატურად ფილტრაციის საშუალება?**

სტუდენტების ნაწილი თავიდან ვერ მიხვდა ამ შეკითხვის არსს, მაგრამ ახსინის შემდგომ, როგორც აღმოჩნა შეტყობინებების ფილტრაციის ფუნქცია საშუალოდ მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, ისინი აღნიშნავენ რომ თითქმის ყველა შეტყობინება, რომელიც უნივერსიტეტიდან მოდის საკმაოდ საინტერესოა მათთვის, მაგრამ კარგი იქნებოდა ზოგიერთი მათგანის

ფილტრაცია რომ შეიძლებოდეს. მათი აზრით უნივერსიტეტები ვერ აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას.

6.3. სწავლება:

- **გაქვთ თუ არა საგნის სილაბუსის ნახვის შესაძლებლობა? და კმაყოფილი ხართ თუ არა ამ ფუნქციით?**

როგორც გამოიკვეთა სტუდენტებისთსვის საკმაოდ მნიშვნელოვანია საგნის სილაბუსის ნახვის საშუალება ჰქონდეთ, რადგან როგორც ისინი აღნიშნავენ სილაბუსს ხშირად იყენებენ განსაკუთრებით გამოცდების პერიოდში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები კმაყოფილნი აღმოჩნდნენ არსებული სისტემის ამ ფუნქციონალით. ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არც თუ კმაყოფილები არიან, რადგან როგორც ისინი აღნიშნავენ არის შემთხვევები, როცა საგნის სილაბუსი არ არის სისტემაში ატვირთული, ან ძველი ვარიანტია.

- **გაქვთ თუ არა სისტემიდან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნახვის შესაძლებლობა?**

როგორც აღმოჩნდა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და თსუ-ს სტუდენტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ეს ფუნქცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კი ნაკლებად. მაგრამ სტუდენტების აზრით, არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტის სისტემის ფუნქციონალი არ აკმაყოფილებს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ნახვის შესაძლებლობას.

- **გაქვთ თუ არა სისტემიდან სასწავლო ბარათის (ქულების გვერდი) ამობეჭდვის შესაძლებლობა? და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ფუნქცია თქვენთვის?**

ამ კითხვაზე თითქმის ყველა სტუდენტმა დადებითად უპასუხა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ასეთი ფუნქციონალის არსებობა, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ არ ჰქონია შესაბამისი გამოცდილება და არასდროს ამოუბეჭდავს სასწავლო ბარათი. როგორც კვლევიდან ირკვევა სამი უნივერსიტეტის ფუნქციონალი, ამ კუთხით, დამაკმაყოფილებებია სტუდენტებისთვის.

- **სარგებლობთ თუ არა სემესტრების მიხედვით გავლილი საგნების და მათი შეფასებების ნახვის შესაძლებლობით?**

აღმოჩნა, რომ სტუდენტები ძალიან ხშირად სარგებლობენ ამ ფუნქციონალით და ერთ-ერთი ყველაზე მნიშნველოვანია მათთვის და თვლიან რომ სისტემამ სრუად უნდა დააკმაყოფილოს ასეთი ტიპის ფუნქციონალით სტუდენტები - „სტუდენტისთვის სწავლის ხარისხზე პირდაპირ მოქმედებს გამართული ელექტრონული სწავლების სისტემა“- აღნიშნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა. სამივე უნივერსიტეტის სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ამ კუთხით სისტემური უზრუვლელყოფის ფუნქციონალით.

- **გაქვთ თუ არა და თუ ისურვებდით შესწორებული ნამუშევრის ნახვის შესაძლებლობის არსებობას (დასკანერებული ვერსიის)?**

ეს ფუნქციონალი საშუალოდ მნიშვნელოვანი არმოჩნდა სტუდენტებისთვის, მაგრამ ასევე ირკვევა, რომ ამ მოთხოვნას ვერც ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ჯეროვნად.

- **გაქვთ თუ არა აპელაციის შედეგების ნახვის შესაძლებლობა? რა სახით?**

სამივე უნივერსიტეტის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სისტემიდან აქვთ აპელაციის გაკეთების და შემდეგ მისი შედეგების ნახვის შესაძლებლობა. როგორც აღმოჩნდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ნაკლებად იყენებენ ამ ფუნქციას, ხოლო ეეუ-ს და თსუ-ს სტუდენტები უკმაყოფილონი არიან მისი იმპლემენტაციით, რადგან აპელაციის შედეგი,

როგორც ასეთი სისტემაში არ აისახება, იგი ქულის ცვლილების სახით შეიძლება იყო ნაჩვენები და ამ ქულის ცვლილებაც ხშირად დაგვიანებით ხდება.

- **საიტზე აღნიშნული უნდა იყოს თუ არა საგნის წარმატებით გავლა/ჩაჭრა**

ეს ფუნქცია როგორც მნიშვნელოვანი ასევე დამაკმაყოფილებელიც აღმოჩნდა სტუდენტებისთვის, ისინი თვლიან რომ სამივე უნივერსიტეტის სიტემა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

- **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ინფორმაცია კრედიტების აუცილებელი და უკვე დაგროვილი რაოდენობის შესახებ?**

ეს ინფომცია ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის. როგორც აღმოჩნდა სამივე უნივერსიტეტის სისტემები აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნას.

- **გაქვთ თუ არა სისტემაში GPA-ს ნახვის შესაძლებლობა?**

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ GPA-ს ნახვის შესაძლბელობა საკმაოდ მნიშნველოვანი აღმოჩნდა სტუდენებისთვის, მაგრამ მაგალითად ილიას სახელმწიფო უნივერისტეტში GPA-ის დათვლის წესის არ არსებობის გამო, ისინი ხელმძღვანელობენ განვლილი საგენბის ქულების საშუალოთი. შესაბამისად სტუდენტებსაც არ აქვთ შესაძლებლობა სისტემაში ნახონ საკუთარი GPA.

- **გაქვთ თუ არა სისტემაში ლექტორთა შეფასების შესაძლებლობა?**

სტუდენტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ასეთი ფუნქციონალის არსებობა. სამივე დაწესებულებაში შეფასება ხდება გამოკითხვის საშუალებით. როგორც ეეუ-ს სტუდენტებმა აღნიშნეს სისტემა ამ მხრივ ცოტა ხარვეზებს ავლენს, რადგან „ხანდახან შევსებულ კითხვარსაც აჩვენებს ხელახლა“. ილიას სტუდენტებმა აღნიშნეს რომ ლექტორებთან მიმართებით კითხვარში არის საინტერესო შეკითხვები - „მაგალითად ასეთ კითხვებს გვისვამენ ხოლმე - რამდენად ხშირად იყენებთ ტელეფონს მის ლექციაზე?“

- **გაქვთ თუ არა სისტემაში სასწავლო პროგრამების შეფასების შესაძლებლობა?**

სტუდენტებისთვის ეს ფუნქციონალი საშუალოდ მნიშვნელოვანი აღმიჩნდა, აღნიშნავენ, რომ სისტემაში აქვთ სასწავლო პროგრამების შეფასების შესაძლებლობა.

- **კმაყოფილი ხართ თუ არა სპეციალობათა არჩევის შესაძლებლობით?**

სპეციალობათა არჩევის შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის. სტუდენტების აზრით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში არ ხდება სპეციალობათა არჩევა სისტემიდან, თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის სისტემის ფუნქციონალი ამ მხრივ იძლევა არჩევის საშუალებას, მაგრამ მათი აზრით, სრულად არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ასევე შუეძლიათ „მაინორ“ პროფესია აირჩიონ სისტემიდან. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემას სტუდენტებმა დააფიქსირეს რომ აქვთ სპეციალობათა არჩევის შესაძლებლობა და კმაყოფილი არიან ამ ფუნქციონალით.

- **გაქვთ თუ არა კურსზე დარეგისტრირების, საგნების არჩევის შესაძლებლობა?**

კურსზე დარეკისტრირების შესაძლებლობით უკმაყოფილება გამოთქვეს აღმოსაველთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა „ძირითადად ადმინისტრაცია გვირჩევს საგნებსაც და ცხრილსაც“ , სტუდენტების აზრით კარგი იქნებოდა სისტემაში იყოს საგნების არჩევის შესაძლებლობა, ასევე ცხრილების, რადგან ხშირად შეიძლება ისეთ დროს დაემთხვეს ლექციები, როცა სამუშაოზე არიან, ან ვერ ასწრებენ მისვლას, ასეთი პრობლემაზე განსაკუთრებით მაგისტრატურის სტიდენტებს ჰქონდათ გამახვილებული ყურადღება. ილიას სტუდენტებისთვის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა ამ მხრივ სისტემის ფუნქციონალი. ხოლო თსუ-ს სტუდენტები უკმაყოფილონი არიან - „შეიძლება ერთ საგანზე იმდენი სტუდენტი იყოს, რომ ვეღარ აირჩიო,

მოსწარებაზეა“, როგორც გაირკვა, სასურველი საგნის არჩევა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება ლექტორი იყოს მათთვის მოსაწონი ან დროები აწყობდეთ საგნის, ისე რომ შუალედი არ გამოუვიდეთ ცხრილში.

- **გაქვთ თუ არა, სასწავლო ცხრილის არჩევის შესაძლებლობა? რამდენად კმაყოფილი ხართ?**

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები უკმაყოფილონი არიან ამ ფუნქციონალით, რადგან არ შეუძლეიათ ცხრილის თავისი შეხედულებისამებრ არჩევა. ილიას სტუდენტები კმაყოფილნი არიან ამ ფუნქციონალით. თსუ-ს რაც შეეხება, სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ცხრილის არჩევის შესაძლებლობა, მაგრამ როგორც ისინი აღნიშნავენ სტუდენტების დიდი რაოდენობის გამო ხშირად ხდება ისე, რომ ვერ ასწრებენ სასურველი ლექტორებისა და საათების არჩევას, შესაბამისად ცხრილიც ვერ გამოდის ისეთი როგორიც უნდათ.

- **გაქვთ თუ არა შესაძლებლობა, ნახოთ სასწავლო ცხრილი (აუდიტორიები, დროები)?**

როგორც აღმოჩნდა, სამივე უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ფუნქციონალი. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილმა განაცხადა რომ კმაყოფილი არიან ამ ფუნქციონალით, მაგრამ ნაწილი უკმაყოფილო აღმოჩნდა, რადგან „ცხრილს კი აჩვენებს სისტემა, მაგრამ ზოგჯერ აუდიტორიები არ არის აღნიშნული და ძებნა გვიწევს სად ტარდება ლექცია“. ილიას და ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობამ კმაყოფილება გამოთქვა ცხრილის ასახვით. თსუ-ს ერთ-ერთმა სტუდენტმა დააფიქსირა რომ არ მოსწონს ცხრილის განლაგება, რადგან საგნების მიხედვითაა დალაგებული და უმჯობესი იქნებოდა დღეების მიხედვით ყოფილიყო.

- **მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის მიმდინარე სემესტრში არსებული საგნების მონაცემების ნახვა? (ლექტორი, სტუდენტების რაოდენობა, კრედიტების რაოდენობა)**

სტუდენტების უმეტესობისთვის ასეთი ფუნქცია მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. როგორ გამოიკვეთა ილიას და თსუ-ს სისტემები აკმაყოფილებენ ამ ფუნციონალისადმი სტუდენტების მოთხოვნებს. ხოლო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ინდორმაციის განთავსების საშუალება არის სისტემაში, მაგრამ ზოგჯერ მაგალითად ლექტორის ვინაობა არ არის აღნიშნული.

- **გაქვთ თუ არა სისტემაში სასწავლო ტექსტური, ვიდეო და აუდიო მასალების ჩამოტვირთვის/ყურების შესაძლებლობა?**

როგორც ირკვევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისევე როგორს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სისტემა არ მოიცავს სასწავლო მასალების ატვირთვა/ჩამოტვირთვის საშუალებას, ისინი ამისთვის იყენებენ დამატების სისტემებს. სტუდენტები აღნიშნავენ რომ უკმაყოფილონი არიან ამ ფაქტით, რადგან ხშირად უჭირთ დამატებით სისტემაში გარკვევა, დარეგისტრირება და სხვა ოპერაციების წარმოება. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, ისინიც იყენებენ დამატებით Moodle-ს, იგი განთავსებულია სუბდომეინზე - moodle.iliauni.edu.ge

- **ადვილად გარჩევადია, თუ არა სავალდებულო, არჩევითი და სავალდებულო-არჩევითი საგნები (მაგ. ფერების მიხედვით)?**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სისტემებით უკმაყოფილონი არიან სტუდენტები ამ მხრივ, რადგან აღნიშნული ფუნქცია არ გააჩნია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კი პირიქით, კმაყოფილება გამოთქვეს, რადგან „არჩევის რეჟიმში“ მყოფ პროგრამას აქვს შესაძლებობა ფერების მიხედვით

განაცალკევოს არჩევითი, სავალდებულო საგნები, რაც შესაბამისად ეხმარება სტუდენტებს მათი არჩევისას.

- **არის თუ არა სისტემაში კურსების ძიების შესაძლებლობა?**

სამივე უნივერსიტეტის სტუდენტების მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ასეთი ფუნქციონალის არსებობა. როგორც ირკვევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსებისა და საგნების ძიების საკმაოდ კარგი შესაძლებლობა აქვს სისტემას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვეს, რადგან აცხადებენ, რომ მიუხედავად კურსების ძიების შესაძლებლობის არსებობისა, ამ ფუნქციონალით ჯეროვნად სარგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სისტემა საგნების არჩევის რეჟიმშია ჩართული. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილმა დააფიქსირა, რომ არ იცის არსებობს თუ არა სისტემაში ასეთი ფუნქციონალი, რადგან ძირითადად ადმინისტრაციის წარმომადგენლები ურჩევენ სასწავლო საგნებს. სტუდენტების დანარჩენმა ნაწილმა კი უკმაყოფილება გამოთქვა, რადგან, როგორც აღმოჩნდა ასეთი ფუნქციონალი სისტემას არ გააჩნია.

- **ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის „არჩევის რეჟიმში ჩართული კურსი“-ის შესახებ ინფორმაცია? (მაგ. დაძლეული წინაპირობა, ან მიმდინარე სემესტრში იკითხება ეს საგანი, მაშინ იგი არჩევადია)**

აღმოსავლეთ ევროპის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არ არიან კმაყოფილი ფუნქციონალით, რადგან ასეთი ინფორმაცია არ არის გამოკვეთილი და ინდივიდუალური, სისტემაშიც არ არის განთავსებული. ხოლო ილიას სტუდენტებს სასვებით აკმაყოფილებთ ამ მხრივ სისტემის ფუნქციონალი - „არჩევის რაჟიმში როცაა არგუსი შესაძლებელია ნახო ეგეთი ინფორმაცია, მაგალითად გავლილი მაქვს თუ არა წინაპირობა“.

- **გაქვთ თუ არა სისტემაში, შიდა კომუნიკაციის შესაძლებლობა ლექტორებთან, სხვა სტუდენტებთან (ჩათის, ფორუმის სახით)?**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს აღმოაჩნდათ ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ ნაწილობრივ კმაყოფილნი არიან, აცხადებენ რომ კარგია ასეთი შესაძლებლობის არსებობა, მაგრამ ხშირად ლექტორები გვიან ნახულობენ წერილს. ასევე ერთ-ერთმა სტუდენმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება გაგზავნილი წერილის წაშლა, რაც მისთვის არაკომფორტული აღმოჩნდა, რადგან ერთხელ შეეშალა და სხვა ლექტორს მისწერა. აღმოსავლეთ ევროპის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ასეთი შესაძლებლობა არ აღმოაჩნდათ სისტემაში, როგორც ისინი აღნიშნავენ, საჭიროების შემთხვევაში, ლექტორებთან და ერთმანეთთან კომუნიკაცია სოციალური ქსელის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით უწევთ.

- **სასურველია თუ არა თქვენთვის ქვიზების/გამოცდების სისტემაში დაწერის შესაძლებლობა?**

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ნაკლენად მნიშვნელოვანია ასეთი ფუნქცია. ხოლო რაც შეეხება Tsu-ს და Eeu-ს, მათთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მაგრამ აცხადებენ, რომ უნიერსიტეტის სისტემა ვერ აკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნას. დასახელდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რის გამოც ფიქრობენ, რომ კარგი იქნებოდა ასეთი ფუნქციონალის არსებობა, მაგალითისთვის - „ხშირად მიწევს საზღვარგარეთ წასვლა, და ტესტების გაცდენაც, ვფიქრობ კარგი იქნებოდა ონლაინში ვწერდეთ, აღარ მომიწევდა აღდგენებზე ზრუნვა“.

6.4. ადმინისტრაციასთან ურთიერთობა:

- **მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის განცხადებაზე საგამოცდო ცენტრის პასუხის ნახვის შესაძლებლობა**

როგორც ირკვევა, ამ ფუნქციონალის არსებობა საკმაოდ მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. ილიას სახელმქიფო უნივერსიტეტის სისტემას აკმაყოფილების ამ მოთხოვნას. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემებით სტუდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ისინი აღნიშნავენ, რომ სისტემას არ აქვს ასეთი ინფორმაციის ასახვის საშუალება. ამ ფუნციონალისადმი განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოთქვეს ეეუ-ს სტუდეტებმა, ასევე რამოდენიმე მათგანმა განაცხადა, რომ არ ჰქონია შესაბამისი გამოცდილება ამ ფუნქციონალთან მიმართებაში.

- **ხელმისაწვდომია თუ არა კორესპონდენცია ადმინისტრაციასთან (აპელაცია, განცხადების დაწერა მაგ. საგნის შეცვლასთან დაკავშირებით)?**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ ასეთი ფუნქციონალით კმაყოფილია, რადგან კორესპონდენცია ხელმისაწვდომია. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა საგნის არჩევის დროს დასჭირდა განცხადების დაწერა, რადგან ადგილები აღარ იყო და როგორც კი გადაგზავნა განცხადება სისტემის მეშვეობით, მალევე დაურეკეს და ჩაწერეს შესაბამის ჯგუფში. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპისა და თსუ-ს სისტემებს სტუენტების აზრით ისინი მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს, რადგან განცხადებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გამოცდებთან დაკავშირებული სახე (გადატანა, აპელაცია).

- **გაქვთ თუ არა ბიბლიოთეკასთან ონლაინში დაკავშირების შესაძლებლობა?**

სტუდენტების უმეტესობა აღნიშნა რომ ასეთი ფუნქციონალის არსებობა ძალიან კარგი იქნებოდა „ზოგჯერ ბიბლიოთეკაში არ არის ის წიგნი რაც მჭირდება, მაგისტრატურაზე ვსწავლობ და მიწევს სამსახურიდან გამოვიქცე რომ ბიბლიოთეკას მივუსწრო სამუშაო საათებში, ასეთი დისკომფორტი აღარ

შემექმნდებოდა ონლაინ ჩათი ან მსგავსი საშუალება რომ იყოს“. არც ერთ უნივერსიტეტს არ აღმოაჩნდა მსგავსი ფუნქციონალი სისტემაში.

6.5. ლექტორებთან ურთიერთობა:

- **გაქვთ თუ არა სისტემიდან ლექტორისთვის წერილის მიწერის შესაძლებლობა?**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არგუსიდან არსებობს ასეთი შესაძლებლობა, და კმაყოფილებიც არიან, მხოლოდ ის არის პრობლემა, რომ ზოგჯერ ლექტორები ძალიან გვიან ნახულობენ წერილს და შესაბამისად პასუხიც აგვიანებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებას, როგორც აღმოჩნდა არ აქვთ მსგავსი შესაძლებლობა და მათი უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, რადგნა საკმაოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია.

- **შესაძლებელია თუ არა თქვენი უნივერსიტეტის სისტემიდან რეკომენდაციების მიღება ლექტორებისგან? გამოგიყენებიათ თუ არა ეს ფუნქცია?**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ასეთი ფუნქციონალის არსებობა სისტემაში. ილიას უნივერსიტეტში კი იგი არსებობს, სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ აქვთ გამოცდილება, რადგან არ დასჭირვებიათ რეკომენდაციის თხოვნა, მაგრამ როგორც აღნიშნავენ, საკმაოდ მნიშველოვანად მიაჩნიათ ასეთი ფუნქციონალი - „სამუშაოს ძებნას რომ დავიწყებ, ვფიქრობ გამომადგება“. ნაწილს უსარგებლია ამ ფუნქციონალით - „გაცვლით პროგრამაზე რომ დავრეგისტრირდი, მაშინ ძალიან გამომადგა“.

- **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ლექტორების ინფორმაციის ნახვის შესაძლებლობა (მეილი, ტელეფონის ნომერი, ხარისხი)?**

ილიას სტუდენტებისთვის საშუალოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ასეთი ინფორმაციის არსებობა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იმის გამო ხდება, რომ არგუსს გააჩნია ლექტორებთან საკომუნიკაციო არხი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ძალიან მნიშვნელოვნად დაასახელეს და უკმაყოფილებაც გამოთქვეს, რადგან ხშრად არ გააჩნიათ ასეთ ინფორმაციაზე წვდომა. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც თითქმის იგივე მოსაზრება გამოთქვეს და ფიქრობენ რომ სისტემა ამ ინფორმაციით ვერ აკმაყოფილებას სტუდენტებს. ერთ-ერთმა სტუდენტა აღნიშნა, რომ ზოგჯერ სილაბუსშიც არ არის ზუსტად მითითებული ლექტორების მონაცემები და შესაბამისად უწევს ჯგუფელების გამოკითხვა, რომ გაიგოს ლექტორის ტელეფონის ნომერი ან მეილი, თუ ასეთი მათაც გააჩნიათ.

6.6. სისტემის ზოგადი შესაძლებლობები:

- **გისარგებლიათ თუ არა პაროლის შეცვლის ფუნქციით?**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობამ განაცხადა რომ შეუცვლია პაროლი, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ ადმინისტრაცია თვითონ არეგისტრირებს სტუდენტს და შესავამისად „შემთხვევითი“ პაროლები აქვთ, რომელიც შეიცავშ ძირითადად შემთხვევითად არჩეულ რიცხვებს და სიმბოლოენს და შესაბამისად საკმაოდ რთულია დამახსოვრება. ამიტომაც სტუდენტების უმრავლესობას მოუწია პაროლის შეცვლა. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს, მათ უკმაყოფილება გამოხატეს, რადგან სისტემაში

შეუძლებელია პაროლის ცვლილება, ეს ფუნქცია არ მუშაობს გამართულად - „პაროლს ვერ ვიმახსოვრებ, შეცვლა მინდოდა და არ შეიცვალა, ახლა ბრაუზერში და ტელეფონში მაქვს დამახსოვრებული და იქიდან შევდივარ ხოლმე“.

ამასთანავე, ეეუ-ს რამოდენიმე სტუდენტმა დამატებით აღნიშნა, რომ არ მოსწონთ სისტემის ლინკი, რადგან დასამახსოვრებლად ძალიან რთული და უცხო მოწყობილობებზე გამოსაყენებლად მოუხერხებელია. მათ უწევთ დაამახსოვრებინონ ლინკი კომპიუტერს, ტელეფონს და ისე გამოიყენონ, რადგან ხელით აკრეფვა შეუძლებელია.

- **აქვს თუ არა სისტემას პაროლის აღდგენის შესაძლებლობა?**

პაროლის აღდგენის ფუნქცია არგუსს გააჩნია, სტუდენტების ნაწილმა განაცხადა რომ არ დასჭირვებია ამ ფუნქციის გამოყენება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებმა კი უკმაყოფილება გამოთქვეს, რადგან ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად მიაჩნია, მაგრამ ამ უნივერსიტეტების სისტემებს არ აქვთ გათვალისწინებული.

- **გააჩნია თუ არა სისტემას რამოდენიმე ენის არჩევის შესაძლებლობა?**

როგორც აღმოჩნდა, ილიას სისტემას გააჩნია ორი ენის არჩევის შესაძლებლობა, ქართული და ინგლისური. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობას არ უსარგებლია ენის შეცვლის ფუნქციონალით, რადგან ქართულს იყენებენ, მაგრამ ფიქრობენ რომ უცხოელი სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. აღმოსავლეთ ევროპისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების აზრით ასეთი ფუნქციონალი მნიშვნელოვანია, მაგრამ აღნიშნული უნივერსიტეტების სისტემებს არ აქვთ მისი მხარდაჭერა.

- **რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის კალენდარის არსებობა, რომელზეც აღნიშნული იქნება დასვენების დღეები, უნივერსიტეტის ღონისძიებები?**

„მსგავსი კალენდარი ჩემს უნივერსიტეტში საერთოდ არ არსებობს“ განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა. აღნიშნული უნივერსიტეტის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობის აზრით კარგი იქნებოდა ასეთი ფუნქციონალის არსობა სისტემაში, რადგან ხშირად აინტერესებთ ისვენებენ თუ არა კონკრეტულ დღეს, ან რამე ღონისძიება თუ აქვს დაგეგმილი უნივერსიტეტს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები კმაყოფილი არიან ამ ფუნქციონალით, რადგან არგუსს გააჩნია ასეთი ტიპის კალენდარი, სადაც აღნიშნულია ყველა ოფიციალური დასვენების დღეს და ღონისძიება.

- **გაქვთ თუ არა სისტემაში სიახლეების ნახვის შესაძლებლობა? რამდენად კმაყოფილი ხართ ამ ფუნქციით?**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სიახლეების ნახვა სისტემის საშუალებით კარგი იქნებოდა, რადგან ახლა მხოლოდ უნივერსიტეტის საიტზე, ან ფეისბუქ გვერდზეა შესაძლებელი, სადაც ისინი ხშირად არ შედიან. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, მისის სტუდენტები საშუალოდ დაინტერესებული არიან ამ ფუნქციონალით, მაგრამ სისტემასაც აქვს ჩაშენებული სიახლეები ნახვის შესაძლებლობა, შესაბამისად სტუდენტებმაც კმაყოფილება გამოთქვეს.

6.7. სასურველი ფუნქციონალი:

შემდეგ კითხვებზე სტუდენტთა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა, მათთვის სასურველი აღმოჩნდა შემდეგი ფუნქციონალური ელემენტების დამატება, მაგრამ კითხვაზე თუ როგორ წარმოუდგენიათ თითოეული ფუნქციონალი, ჰქონდათ სხვადასხვა იდეები.

- **რა აზრის ხართ, რომ სისტემას დაემატოს სწავლის ანაზღაურების გადახდა (ბარათით)?**

სტუდეტებმა აღნიშნეს რომ კარგი იქნება, შესაძლებლობა იყვეს სხვადასხვა ბანკის ბარათებით სარგებლობის. რამოდენიმემ აღნიშნა რომ ასევე სასურველი იქნებოა Paypal-ით გადახდის შესაძლებლობა. ყველა სტუდენტი ეთანხმებოდა აზრს, რომ აუცილებელია ასეთი ფუნქციონალისთვის არსებობდეს სისტემაში დაცვის საშუალებები, რადგან არ მოხდეს პირადი ინფორმაციის გაჟონვა - „საქმე ეხება გადახდებს".

- **რა აზრის ხართ, რომ სისტემას დაემატოს ადმინისტრაციაში ცნობის გადაგზავნის ფუნქციონალი (უნივერსიტეტში მიუსვლელად)?**

კითხვაზე თუ როგორ წარმოუდგენიათ ასეთი ფუნქციონალი, იყო შემდეგი იდეები. „კარგი იქნებოდა, არსებობდეს შაბლონებივით ფორმატი სხვადასხვა განცხადებისთვის, რადგან ხშირად მიჭირს განცხადების სტილის დაცვა". ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ასეთ ფუნქციონალს უნდა გააჩნდეს აგრეთვე შესაძლებლობა, თუ ადმინისტრაციამდე მივიდა განცხადება, სისტემაში აისახოს „მიღების დასტურის" სახით.

- **რა აზრის ხართ, რომ სისტემას დაემატოს კონრკეტული საგნის ჯგუფისთვის ცალკე სივრცის შექმნის შესაძლებლობა, სადაც აიტვირთება მაგ. ყველასათვის საჭირო მასალები, შესაძლებელი იქნება სტუდენტებს შორის მიმოწერა, როგორც საერთო ჩათში, ასევე ინდივიდუალურად?**

სტუდენტები ფიქრობენ, რომ ასეთი ჩათი უნდა დაიყოს მაგალითად ჯგუფების მიხედვით, ან საგნების მიხედვით, მაგრამ ამასთანავე კარგი იქნებოდა არსებობდეს ჩათი ლექტორთან და ადმინისტრაციასთან საკონტაქტოდაც. სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩათში სასწავლო მასალების ატვირთვისა და შემდეგ მათში ძებნის შესაძლებლობა, რადგან როგორც მათ აღნიშნეს „Facebook"-ზე შექმნილ ჩათში ხშირად ვეღარ პოულობენ ადრე ატვირთულ მასალებს.

- **რა აზრის ხართ, რომ სისტემას დაემატოს ონლაინში სწავლების შესაძლებლობა (ვიდეოების, მასალების საშუალებით სწავლა, ტესტების დაწერა ონლაინში, ზეპირი გამოცდა ონლაინში)?**

როგორც აღმოჩნდა, სტუდენტებისთვის აზრით კარგი იქნებოდა ასეთი ფუნქციონალის არსებობა, რადგან „როდესაც რაიმე მიზეზით დროებით ტოვებ სასწავლო პროცესს, სასწავლო დაწესებულება ვალდებული უნდა იყოს შეგიქმნას ყველა ის შესაძლებლობა რომ პრობლემა არ შეგექმნას.“ ასევე სტუდენტებისთვის სასურველია არსებობდეს ტესტების ონლაინში დაწერის შესაძლბელობა.

- **რა აზრის ხართ, რომ სისტემას დაემატოს ადმინისტრაციასთან გადასახადის გადანაწილების გრაფიკის გადაგზავნის შესაძლებლობა და შემდეგ მათი მხრიდან დასტურის ან უარის მიღების შესაძლებლობა?**

სტუდენტების უმეტესობა ამ ფუნქციონალის დამატებას დადებითად უყურებს, ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება სისტემას დაემატოს ახალი გვერდი, მაგალითად „გადახდების გრაფიკი“-ის სახელწოდებით. ზოგიერთი მათგანისთვის ასეთი გრაფიკის კალენდრის სახით წარმოდგენა იყო უპირატესი.

- **რა აზრის ხართ, რომ სისტემას დაემატოს შემდეგი ფუნქციონალი: თუ სტუდენტი დარეგისტრირებულია ბაზაში, ბაზაში შესვლის შემდეგ მას ჰქონდეს წვდომა იმ ფასიან ონლაინ პორტალებზე, რომელთანაც აქვს წვდომა უნივერსიტეტს?**

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა არსებობდეს ასეთი ფუნქციონალი, სადაც ასევე ნაჩვენები იქნებოდა პორტალების ჩამონათვალი, რომელზეც ექნებათ წვდომა და ამ ჩამონათვალიდან მარტივად გადადიოდე შესაბამის სასწავლო პორტალზე, მაგალითად ლინკის სახით.

დასკვნა

ნაშრომში ჩატერებული კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი და ამასთანავე საინტერესო დასკვნა.

განხილული სამი ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგალითზე, როგორც ირკვევა, სტუდენტების უმრავლესობა საკმაოდ აქტიურად სარგებლობს ელექტრონული სისტემებით. ისინი იყენებენ მას როგორ სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი და მთავარი ინფორმაციის მისაღებად, ასევე ადმინისტრაციული პრობლემებისა და საკითხების მოსაგვარებლად.

კვლევის საფუძველზე ასევე ირკვევა, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან სტუდენტები მათ უნივერსიტეტში უკვე არსებული ელექტრონული სისტემებით. შესაჯამებლად შეიძლება ითქვას რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემებში ბევრი დეტალია დასახვეწი, რაც იწვევს სტუდენტებში უკმაყოფილების შეგრძნებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შედარებით უკეთესი ფუნქციონალის სისტემა აქვს. ხოლო კონკრეტულად რა დეტალებსა და შესაძლებლობებზეა საუბარი შემდეგ აბზაცებში მოგახსენებთ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ელექტრონულ სისტემას აღმოაჩნდა გარკვეული ხარვეზები, მაგალითად პაროლის შეცვლის, აღდგენის, ცხრილების სრულფასოვნად ნახვის შეუძლებლობა, სისტემის მეშვეობით ლექტორებთან კომუნიკაციის არ არსებობა. გარკვეულ გვერდებზე გადასვლისას იგი ტექნიკურ შეცდომებს აჩვენებს. პირველ რიგში, აუცილებელია ამ ხარვეზების აღმოფხვრა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს ფუნქციონალის დამატება, მაგალითად ისეთის, როგორიცაა ბიბლიოთეკასთან ონლაინ რეჟიმში დაკავშირების საშუალება, სისტემიდან

წვდომა სხვადასხვა ფასიან სასწავლო პორტალებზე, რომლებზეც წვდომა აქვს უნივერსიტეტს და ასევე სასურველი იქნება უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს და შეეცადოს დაამატოს ისეთი ფუნქციონალიც, რომელიც უკვე გააჩნია თსუ-ს ან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და ასევე რომელთა დამატების რეკომენდაციებსაც გავუწევთ ამ უნივერსიტეტებს მომდევნო აბზაცებში. ამ მომენტისათვის მიმდინარეობს სისტემის განახლება და თავისთავად, საინტერესოა როგორი იქნება იგი განახლების შემდეგ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემას, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისგან განსხვავებით, ტექნიკური ხარვეზები არ აღმოაჩნდა, მაგრამ როგორც გაირკვა, არსებობს მრავალი დეტალი და ფუნქციონალი, რომელთა დამატებითაც სტუდენტების კმაყოფილების დონე შესამჩნევად გაიზრდებოდა. საჭიროა სისტემის დიზაინის დახვეწა, გალამაზება, თანამედროვე სტანდარტებს მორგება, ლექტორებთან და სტუდენტებთან საკონტაქტო სივრცის შექმნა, რეზიუმეს გენერირების საშუალების არსებობა, სასწავლო მასალების სისტემაში ატვირთა/ჩამოტვირთვის, ტესტების დაწერის საშუალება. რამოდენიმე ენის მხარდაჭერა, სიახლეების ნახვის შესაძლებლობა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემა „არგუსი“ შედარებით დადებითად შეაფასეს, მისი მრავალმხირივი ფუნქციონალიდან გამომდინარე. აღნიშნული უნივერსიტეტების სისტემებს შორის ყველაზე დახვეწილი სწორედ ის აღმოჩნდა, მაგრამ არსებობს ფუნქციონალი რომელთა დამატებაზეც არც ილიაუნის სტუდენტები იტყოდნენ უარს. მაგალითად: სასწავლო გადასახადების ანაზღაურება ბარათის მეშვეობით, ადმინისტრაციაში ცნობის გადაგზავნის შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში სწავლების საშუალება, ადმინისტრაციასთან გადასახადის გადანაწილების გრაფიკის გადაგზავნის შესაძლებლობა და შემდეგ მათი მხრიდან დასტურის ან უარის მიღება, თუ სტუდენტი დარეგისტრირებულია ბაზაში, სისტემაში

შესვლის შემდეგ მას ჰქონდეს წვდომა იმ ფასიან ონლაინ პორტალებზე, რომელთანაც აქვს წვდომა უნივერსიტეტს.

ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები დაეხმარებათ უნივერსიტეტებს გარკვეულწილად მაინც გააუმჯობესონ ელექტრონული სასწავლო, ადმინისტრირების სისტემები, ისე რომ სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილი იყოს ფუნქციონალით და მაქსიმალურად გაუადვილდეთ სწავლისა და სხვა ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება.

ბიბლიოგრაფია

A. Kulkarni, N. Hegde, M. Sharma, (January 2015) *Educational ERP Systems In The Market – A Comparative Study*;

A. Gutte, N. Kate, A. Hulikere and Sh. Kokate (30.03.2014) *E-College: An ERP for Educational Institute*;

Ch. Patel, M Gadhavi, Dr. A. Patel (June 2013) A survey paper on e-learning based learning management Systems (LMS);

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - https://iliauni.edu.ge/ge/ - 08.06.2019

Finances online - https://learning-management.financesonline.com/top-10-learning-management-software-solutions-for-your-company/- 08.06.2019